დანართი N3

ხელშეკრულება
სამოგზაურო დაზღვევის მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი **--- 2026 წ.**

ერთი მხრივ, **სსიპ „იუსტიციის სახლი“** (ს/ნ 204580202), შემდგომში - იუსტიციის სახლი), წარმოდგენილი თავმჯდომარის **ვახტანგ ჟვანიას** (პ/ნ 48001005704) სახით და, მეორე მხრივ, ---- (შემდგომში - სადაზღვევო კომპანია) წარმოდგენილი, --- სახით, ერთობლივად წოდებულნი როგორც მხარეები, სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ვებგვერდზე (www.eauction.ge) გამოცხადებული 2026 წლის --- N--- ელექტრონული აუქციონის შედეგების (განაცხადის ნომერი და ლოტის ნომერი) გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, იუსტიციის სახლი სადაზღვევო კომპანიის სახელით საქართველოს მოქალაქეებს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს (შემდგომში - მომხმარებელი), ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე, გაუწევს სამოგზაურო დაზღვევის გაცემასთან დაკავშირებულ მომსახურებას, რაც მოიცავს - სამოგზაურო დაზღვევის შეთავაზებას, სამოგზაურო დაზღვევის პოლისზე (შემდგომში - პოლისი) განაცხადის მიღებას, პოლისის გადაცემას, პოლისის კორექტირებასა და გაუქმებას.
2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდება იუსტიციის სახლის ტერიტორიული ორგანოებისა და სტრუქტურული ერთეულების (შემდგომში - იუსტიციის სახლები) მეშვეობით, მათ შორის, მობილური იუსტიციის სახლების მიერ, სერვისის მობილურად მიწოდებისას.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება იუსტიციის სახლის მიერ გაყიდულ თითოეულ სამოგზაურო დაზღვევის პოლისზე 1 (ერთი) დღის სადაზღვევო პრემიიდან შეადგენს --- ლარს, მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის ჩათვლით.
2. იუსტიციის სახლის მიერ გაყიდულად ჩაითვლება პოლისი, რომლის საფასური გადახდილი იქნება მომხმარებლის მიერ.
3. იუსტიციის სახლის მიერ გაყიდული პოლისის მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე გაუქმების შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანია მის ღირებულებას გამოქვითავს მომდევნო საანგარიშსწორებო თვეს, იუსტიციის სახლისთვის გადასახდელი თანხიდან.

4. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, საქართველოს ეროვნული ვალუტით, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. პოლისის ტიპები/ზოგადი პირობები

1. ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებს ორი ტიპის სადაზღვევო პოლისი:

ა) **ერთჯერადი სამოგზაურო დაზღვევის პოლისი** - მოქმედებს კონკრეტული მოგზაურობისთვის განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, 1 (ერთი) წლის ვადით.

ბ) **მრავალჯერადი (მულტი) სამოგზაურო დაზღვევის პოლისი** - მოქმედებს პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში და უზრუნველყოფს დაზღვეული პირის მრავალჯერადი მოგზაურობის დაზღვევას, თითოეული მოგზაურობის ხანგრძლივობის შესაბამისად. მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 1 (ერთი) წლის ვადით.

2. პოლისის ღირებულება განისაზღვრება სადაზღვევო დღეების შესაბამისად; სადაზღვევო პრემია 1 (ერთი) დღეზე შეადგენს 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს.

3. მომხმარებელს შეუძლია, პოლისის ყიდვიდან პოლისის ძალაში შესვლამდე, საკუთარი განცხადების საფუძველზე, მოითხოვოს პოლისის გაუქმება. გადახდილი პრემიის უკან დაბრუნება შესაძლებელია სადაზღვევო კომპანიის მიერ მომხმარებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. აღნიშნულ შემთხვევაში, მომხმარებელს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

4. პოლისში დაზღვეული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების არასწორად მითითების შემთხვევაში, თუ პოლისში არსებული მონაცემებით შესაძლებელია დაზღვეული პირის იდენტიფიცირება, სადაზღვევო კომპანია ვალდებულია, აანაზღაუროს სადაზღვეო შემთხვევა.

5. სამოგზაურო დაზღვევის პოლისის პირობები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N--- ის შესაბამისად.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ვადა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება უნდა განხორციელდეს 2 (ორი) წლის განმავლობაში.

2. ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში მხარეთა შორის გაფორმდება შეთანხმების აქტი მომსახურების დაწყების თაობაზე.

3. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ვადის ათვლა დაიწყება მეორე პუნქტით გათვალისწინებული შეთანხმების აქტით განსაზღვრული თარიღიდან.

მუხლი 5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

1. მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად, ყოველი მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვამდე, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომლის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, იუსტიციის სახლი სადაზღვევო კომპანიას წარუდგენს შესაბამის ანგარიშფაქტურას.

2. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირებს წარმოადგენენ: იუსტიციის სახლის მხრიდან თავმჯდომარის მოადგილე - ---; ხოლო სადაზღვევო კომპანიის მხრიდან - ---.

მუხლი 6. მხარეთა ვალდებულებები

1. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერების, ურთიერთთანამშრომლობისა და გულისხმიერების პრინციპებზე დაყრდნობით; მჭიდროდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან (კონსულტაციის გაწევით, ურთიერთდახმარებით და სხვ.); დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესები.

2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, საკუთარ ინფრასტრუქტურასთან (მათ შორის პროგრამულ ინფრასტრუქტურასთან) დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო ჩაატარონ იმგვარად, რომ ამით არ შეფერხდეს მეორე მხარის სამუშაო პროცესის მიმდინარეობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ჩასატარებელი სამუშაოს სპეციფიკიდან ან/და გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლებელია აღნიშნული მოთხოვნის შესრულება.

3. დაუყოვნებლივ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გონივრულ ვადაში მოახდინონ რეაგირება ერთმანეთის შეკითხვებზე (მათ შორის სატელეფონო ან/და სპეციალური კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით ან მხარეთა თანამშრომლების სამსახურებრივ ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილ შეკითხვებზე).

4. სადაზღვევო კომპანია ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში უზრუნველყოს იუსტიციის სახლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების გადახდა.

ბ) ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში უზრუნველყოს საერთაშორისო ასისტანს კომპანიასთან სახელშეკრულებო ურთიერთობის უწყვეტობა (არ დაუშვას ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა). აღნიშნული ვალდებულების დარღვევა ჩაითვლება ხელშეკრულების არსებით დარღვევად, რაც იუსტიციის სახლის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველია.

გ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღის ვადაში, იუსტიციის სახლის ტერიტორიულ ორგანოებსა და სტრუქტურულ ერთეულებში (იუსტიციის სახლები), ასევე მობილურ იუსტიციის სახლებში არსებულ საბანკო ორგანიზაციებთან გამართოს ავტომატური გადახდის სისტემა. გადახდის შესახებ ინფორმაცია ავტომატურად ასახოს იუსტიციის სახლის ერთიან პროგრამულ სისტემაში.

დ) უზრუნველყოს ავტომატური გადახდის სისტემის გამართული, უწყვეტი ფუნქციონირება. იუსტიციის სახლში არსებული საბანკო ორგანიზაციების ცვლილების შემთხვევაში, იუსტიციის სახლთან წინასწარ შეთანხმებულ ვადაში განახორციელოს ავტომატური გადახდის სისტემის ახალ საბანკო ორგანიზაციასთან ინტეგრაცია ისე, რომ არ შეფერხდეს სერვისის მიწოდება.

ე) იუსტიციის სახლთან შეთანხმებულ თარიღში უზრუნველყოს იუსტიციის სახლის თანამშრომელთა ტრენინგი (არანაკლებ წელიწადში ერთხელ), სამოგზაურო დაზღვევის სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებულ პროცედურულ და პროგრამულ საკითხებზე.

ვ) მომსახურების გაწევის პროცესში წარმოშობილი ტექნიკური სირთულის/ხარვეზის შემთხვევაში, მათზე ოპერატიული რეაგირების მიზნით, სერვისის ამოქმედების დღიდან

გამოყოს საკონტაქტო პირ(ებ)ი, რომელთან დაკავშირებაც დაუყოვნებლივ იქნება შესაძლებელი. საკონტაქტო პირის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სერვისის მიწოდების მთელი პერიოდის განმავლობაში.

ზ) დაუყოვნებლივ უზრუნველყოს იუსტიციის სახლის უფლებამოსილი პირის მიერ შევსებული ელექტრონული პოლისისა და ავტომატური გადახდის სისტემის საშუალებით პოლისის ღირებულების გადახდის შესახებ ინფორმაციის დადასტურება.

თ) მომხმარებლის მოთხოვნის საფუძველზე, პოლისის დადასტურების შემდეგ, იუსტიციის სახლს შესაძლებლობა მისცეს ერთიანი პროგრამული სისტემიდან დაბეჭდოს პოლისი.

ი) სადაზღვევო პოლისის ძალაში შესვლამდე მომხმარებელს მიანიჭოს მისი გაუქმების შესაძლებლობა. აღნიშნულ შემთხვევაში, მომხმარებელს სრულად დაუბრუნოს გადახდილი სადაზღვევო პრემია საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით (პოლისის გაუქმების გამო მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს პირგასამტეხლო ან სხვა დამატებითი გადასახადი).

კ) იუსტიციის სახლის უფლებამოსილი პირის მიერ სადაზღვევო პოლისში დაზღვეული პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების არასწორად მითითების შემთხვევაში, თუ პოლისში არსებული მონაცემებით შესაძლებელია დაზღვეული პირის იდენტიფიცირება, აანაზღაუროს სადაზღვეო შემთხვევა.

ლ) უზრუნველყოს საკუთარი სერვერული, ქსელური და პროგრამული ინფრასტრუქტურის, მათ შორის, იუსტიციის სახლის ერთიან პროგრამულ სისტემასთან ინტეგრაციისთვის საჭირო API სერვისებისა და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური კომუნიკაციების გამართული და უწყვეტი ფუნქციონირება სერვისის მიწოდების მთელი პერიოდის განმავლობაში.

მ) საკუთარი ინფრასტრუქტურის (მათ შორის, პროგრამული ინფრასტრუქტურის) წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხების თაობაზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მომსახურების განხორციელებაზე, წერილობით აცნობოს იუსტიციის სახლს შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე, ხოლო გაუთვალისწინებელი შეფერხების შემთხვევაში - დაუყოვნებლივ.

ნ) საკუთარი ინფრასტრუქტურის (მათ შორის, პროგრამული ინფრასტრუქტურის) ისეთი ცვლილების განხორციელების შესახებ, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მომსახურების გაწევაზე, წერილობით აცნობოს იუსტიციის სახლს ცვლილების განხორციელებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ცვლილების განხორციელების საჭიროება წარმოიშობა 5 (ხუთი) სამუშაო დღეზე ნაკლები ვადაში, იუსტიციის სახლს წერილობით აცნობოს დაუყოვნებლივ.

ო) პროგრამული და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რომლებიც საჭიროებს დამატებით განმარტებებს, დაუყოვნებლივ მიაწოდოს იუსტიციის სახლს შესაბამისი ინსტრუქცია.

პ) სამოგზაურო დაზღვევის მომსახურებასთან ან/და წინამდებარე ხელშეკრულებასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის, მათ შორის, სარეკლამო რგოლის, PR-აქციის, სოციალური მედიით გავრცელებული ინფორმაციის, შიდა და გარე სარეკლამო სივრცეების გამოყენებით გავრცელებული მასალისა და სხვა საინფორმაციო/სარეკლამო მასალის გავრცელება განახორციელოს იუსტიციის სახლთან

წინასწარი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რა დროსაც იუსტიციის სახლი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამის მასალაში კორექტივების შეტანა.

ჟ) თითოეული გაყიდული სადაზღვევო პოლისიდან იუსტიციის სახლს გადაუხადოს ელექტრონული აუქციონის შედეგად განსაზღვრული თანხა. რეალიზებულად ჩაითვლება ყველა ის სადაზღვევო პოლისი, რომლის საფასურიც სრულად არის გადახდილი მომხმარებლის მიერ.

რ) დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

5. იუსტიციის სახლი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან 21 (ოცდაერთი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს სამოგზაურო დაზღვევის სერვისის ინტეგრაცია ერთიან პროგრამულ სისტემაში. საინფორმაციო სისტემების ინტეგრაცია უნდა განხორციელდეს API-ების (Application Programming Interface) გამოყენებით, მონაცემთა ავტომატიზებული გაცვლისა და მათი უსაფრთხოების სათანადო მექანიზმების დანერგვის მიზნით (თითოეული შესასყიდი სისტემა უნდა იყოს ტექნიკურად თავსებადი იუსტიციის სახლის ერთიან სისტემასთან და გააჩნდეს შესაბამისი API ინტერფეისები, რომლებიც შესაძლებელს გახდის საჭირო მონაცემებისა და ფუნქციონალის ურთიერთგაცვლას). აღნიშნულის შესახებ სრული ტექნიკური ინფორმაცია იუსტიციის სახლმა უნდა მიიღოს სადაზღვევო კომპანიის მიერ, ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში.

ბ) სერვისის ამოქმედებამდე, სადაზღვევო კომპანიასთან თანამშრომლობით, უზრუნველყოს ინტეგრირებული პროგრამული ფუნქციონალის ტესტირება და ტესტირების შედეგების დადასტურება.

გ) საკუთარ ინფრასტრუქტურასთან (მათ შორის პროგრამულ ინფრასტრუქტურასთან) დაკავშირებული წინასწარ ცნობილი იმ შეფერხების თაობაზე, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მომსახურების განხორციელებაზე, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე აცნობოს სადაზღვევო კომპანიას, ხოლო გაუთვალისწინებელი შეფერხების შემთხვევაში - დაუყოვნებლივ.

დ) ინფორმაცია გამოიყენოს მხოლოდ მომსახურების გაწევისათვის გათვალისწინებული მოქმედებების განსახორციელებლად და არ დაუშვას მიღებული ინფორმაციის გადაცემა ან სხვაგვარი ხელმისაწვდომობა მესამე პირებისათვის.

ე) უზრუნველყოს მომსახურების განხორციელებისთვის აუცილებელი ტექნიკისა და კომუნიკაციების (მათ შორის ინტერნეტკავშირის) გამართული ფუნქციონირება.

ვ) დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები.

მუხლი 7. ხელშეკრულების კონტროლი

1. იუსტიციის სახლის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, იუსტიციის სახლის შეხედულებისამებრ.

2. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს იუსტიციის სახლის მხრიდან მარკეტინგისა და მომსახურების განვითარების დეპარტამენტი. ხოლო, პროგრამული უზრუნველყოფის ნაწილში, იუსტიციის სახლის მხრიდან - მომხმარებელთა მხარდაჭერისა და ციფრული განვითარების უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი.

მუხლი 8. პასუხისმგებლობა

1. მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. თითოეულ მხარეს უფლება აქვს, მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ქონებრივი და არაქონებრივი (საქმიანი რეპუტაციის შელახვით გამოწვეული) ზიანის ანაზღაურება.
3. სადაზღვევო კომპანიას, მის მიერ ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
4. სადაზღვევო კომპანიას, ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“, „მ“, „ნ“ ქვეპუნქტების დარღვევის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით, ყოველ გადაცილებულ დღეზე.
5. სადაზღვევო კომპანიას, ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ი“, „კ“ და „ლ“ ქვეპუნქტების დარღვევის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით, ყოველ ასეთ შემთხვევაზე.
6. სადაზღვევო კომპანიას, ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის დარღვევის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო 5 000 ლარის ოდენობით, ყოველ ასეთ შემთხვევაზე.
7. სადაზღვევო კომპანიას, ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა იუსტიციის სახლის სასარგებლოდ, რომელიც დაანგარიშდება შემდეგი წესით: ისეთი ვალდებულების დარღვევის შემთხევაში, რომელიც უკავშირდება კონკრეტული ვადის შესრულებას, პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 100 (ასი) ლარის ოდენობით. ხოლო, ყველა სხვა ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში - 100 (ასი) ლარის ოდენობით ყოველ ასეთ შემთხვევაზე.
8. მხარეების პასუხისმგებლობა არ გამოირიცხება, თუ მხარეთა მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ხელშეკრულების პირობების არასათანადო ცოდნით ან გაგებით.
9. დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს სადაზღვევო კომპანიას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10. ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება არ აქარწყლებს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ მხარეთა პასუხისმგებლობას, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

მუხლი 9. კომუნიკაციის პირობები

1. ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა ხდება იურიდიულ მისამართზე წერილობითი შეტყობინების, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ან/და

წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
2. იუსტიციის სახლის ელექტრონული ფოსტის მისამართია: sales@psh.gov.ge; სადაზღვევო კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართია: ---.
3. შეტყობინება მეორე მხარის მიერ მიღებულად ითვლება მისი იურიდიულ მისამართზე ჩაბარების, ხოლო დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ან ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის შემთხვევაში - ადრესატის საინფორმაციო სისტემაში შესვლისა და მასზე წვდომის წარმოშობის მომენტიდან.

10. ფორსმაჟორი

1. მხარეები არ აგებენ პასუხს თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
2. მხარე, რომელსაც შეექმნა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების შესრულებას, 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში აცნობებს მეორე მხარეს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გადაიდოს შესაბამისი გარემოების გაგრძელების ვადით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა ან/და დამატება დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.
2. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან/და პუნქტის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც, ხოლო დარჩენილი ნაწილი გამოხატავს მხარეთა ნებას და შეთანხმებას ხელშეკრულების არსებით პირობებზე, დანარჩენი მუხლები ან/და პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას; ბათილი მუხლის/პუნქტის ნაცვლად მოქმედებს ისეთი მუხლი/პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით.
ბ) მხარის მიერ ცალმხრივად, თუ მეორე მხარის მიერ კანონმდებლობის ან სახელშეკრულებო ვალდებულებათა უხეში ან/და მრავალჯერადი დარღვევის გამო ხარისხიანად ვერ ხორციელდება მომსახურება, ასევე, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საფუძვლის არსებობისას.
გ) მხარის მიერ ვალდებულების დარღვევისას, იმ შემთხვევაში, თუ ერთი მხარე მეორე მხარის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ვერ უზრუნველყოფს ხარვეზის აღმოფხვრას და

შესაბამისი ვალდებულების შესრულებას. აღნიშნულ შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია, ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს მხარეს.
2. ხელშეკრულებიდან გასვლის გამო ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები.
3. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან.

მუხლი 13. პერსონალური მონაცემების დამუშავება

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N--- -ის შესაბამისად.

მუხლი 14. კონფიდენციალობის დაცვა

1. ნებისმიერი ისეთი ინფორმაცია, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ცნობილი გახდა მხარეებისთვის და შესაძლოა წარმოადგენდეს ერთ-ერთი მხარისათვის კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ასევე, რომლის გავრცელებამ შეიძლება ზიანი მოუტანოს მეორე მხარეს, ითვლება კონფიდენციალურად და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის გადაცემას ან გამოქვეყნებას მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, პირობის დამრღვევ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთი პასუხისმგებლობა დადგება იმ შემთხვევაშიც, თუ კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების დამრღვევი მხარეა რომელიმე მხარის მიერ დაქირავებული პირი.
2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, კონფიდენციალურად ითვლება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს რეალურ ან პოტენციურ კომერციულ ღირებულებას მხარეთათვის, ასევე ყველა სხვა ინფორმაცია ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც მეორე მხარისათვის ცნობილი გახდა ამ ხელშეკრულების დადებისა და მისი შესრულებიდან გამომდინარე და ამავე პროცესში.
3. მხარეები თანხმდებიან, რომ დაიცავენ მოლაპარაკებების საკითხების კონფიდენციალობას, მიმოწერებსა და სხვა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან, და არ გადასცემენ მას მესამე მხარეს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
4. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება დარღვეულად არ ჩაითვლება, თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება განპირობებულია კანონისმიერი ვალდებულების შესრულების აუცილებლობით, ან/და, როდესაც ეს აუცილებელია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად.

მუხლი 15. დავის გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რომ ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება გადაჭრილ იქნეს

მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, დავას განიხილავს სასამართლო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. სხვა პირობები

1. დოკუმენტაციის (მატერიალური პოლისი და სხვ.) სადაზღვევო კომპანიისთვის გადაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, საანგარიშო წლის მანძილზე ერთხელ მაინც, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (გადაბარების პერიოდულობა შეთანხმდება წერილობით (მათ შორის, ელ.ფოსტით).
2. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნული ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
4. პროგრამის აღწერილობა წარმოდგენილია დანართი N--- -ის სახით.
5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელზეც მხარეთა მიერ შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპი.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სსიპ „იუსტიციის სახლი“	**სადაზღვევო კომპანია --------**
თავმჯდომარე	
ვახტანგ ჟვანია	----------